საკვალიფიკაციო საბჭოს დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. საკვალიფიკაციო საბჭო წარმოადგენს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის (შემდგომში: კომისია) მიერ შექმნილ სპეციალური უფლებამოსილების მქონე საბჭოს, რომლის შექმნის მიზანია რადიომოყვარულის კვალიფიკაციის დადგენის ან/და ამაღლების მიზნით ტესტირების ჩატარება, რადიომოყვარულისთვის მისანიჭებელი კლასიფიკაციის განსაზღვრა, სამოყვარულო რადიოკავშირის გამოყენების წესების შესრულებაზე ზედამხედველობა და დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში რეაგირებისთვის საკითხის კომისიისთვის გადაცემა.

2. კომისია საკვალიფიკაციო საბჭოს შემადგენლობას არჩევს სამოყვარულო რადიოკავშირის სფეროში შესაბამისი ცოდნისა და გამოცდილების მქონე პირთაგან.

3. საკვალიფიკაციო საბჭოს შემადგენლობაში შედის კომისიის აპარატის სამი თანამშრომელი და ორი რადიომოყვარული.

4. საკვალიფიკაციო საბჭოს თავმჯდომარეს ნიშნავს კომისიის თავმჯდომარე საკვალიფიკაციო საბჭოს წევრთაგან. საკვალიფიკაციო საბჭოს თავმჯდომარის ბრძანებით ასევე განისაზღვრება საკვალიფიკაციო საბჭოს ის წევრი, რომელიც საკვალიფიკაციო საბჭოს თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში, ასრულებს მის მოვალეობას.

5. ამ დებულებაში გამოყენებულ ტერმინებს გააჩნიათ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2003 წლის 27 ივნისის N1 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის მარეგულირებელი წესების VII[1] თავის „სამოყვარულო რადიოსადგურის გამოყენების წესით“ (შემდგომში: „სამოყვარულო რადიოსადგურის გამოყენების წესი“) განსაზღვრული მნიშვნელობა, თუ ამ დებულებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული.

მუხლი 2. საკვალიფიკაციო საბჭოს სხდომა

1. საკვალიფიკაციო საბჭო საკუთარ უფლებამოსილებას ახორციელებს საკვალიფიკაციო საბჭოს სხდომაზე გადაწყვეტილების მიღების გზით.

2. საკვალიფიკაციო საბჭოს სხდომა ტარდება წელიწადში ოთხჯერ, ყოველი კვარტალის მე-2 თვის ბოლო ოთხშაბათს. აუცილებლობის შემთხვევაში შესაძლოა ჩატარდეს რიგგარეშე სხდომა.

3. საკვალიფიკაციო საბჭოს სხდომა შესაძლოა ჩატარდეს, თუ სხდომას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი.

4. საკვალიფიკაციო საბჭოს გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება თუ მას მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

5. საკვალიფიკაციო საბჭოს სხდომა უნდა გადაიდოს ორი კვირის ვადაში, თუ ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული თარიღი ემთხვევა უქმე დღეს ან სხდომას ესწრება წევრთა ნახევარზე ნაკლები.

6. საკვალიფიკაციო საბჭოს სხდომის მიმდინარეობის თაობაზე დგება სხდომის ოქმი, რომელსაც ხელს აწერს სხდომის მონაწილე ყველა წევრი.

7. საკვალიფიკაციო საბჭოს სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებები აისახება სხდომის ოქმში.

მუხლი 3. საკვალიფიკაციო საბჭოს უფლებამოსილება

1. საკვალიფიკაციო საბჭო უფლებამოსილია იმსჯელოს და მიიღოს გადაწყვეტილება შემდეგ საკითხებზე:

ა) საკვალიფიკაციო ტესტების დამტკიცებისა და გამოქვეყნების თაობაზე;

ბ) საკვალიფიკაციო ტესტირების თარიღის, დროისა და ადგილის თაობაზე;

გ) რადიომოყვარულის კვალიფიკაციის განსაზღვრა საკვალიფიკაციო ტესტირებით;

დ) „სამოყვარულო რადიოკავშირის გამოყენების წესის“ დარღვევათა გამოვლენისა და დადასტურების შემთხვევაში კომისიისთვის მიმართვის თაობაზე.

2. საკვალიფიკაციო საბჭო ვალდებულია მოამზადოს დასკვნა/წერილი „სამოყვარულო რადიოკავშირის გამოყენების წესით“ გათვალისწინებულ საკითხებზე, კომისიაში შემოსული წერილებისა და კომისიის სხვა სტრუქტურული ერთეულების მიმართვის შემთხვევაში. საკვალიფიკაციო საბჭოს დასკვნას/წერილს ხელს აწერს საკვალიფიკაციო საბჭოს თავმჯდომარე.

მუხლი 4. ტესტირება

1. საკვალიფიკაციო საბჭო ამტკიცებს საკვალიფიკაციო ტესტირების კითხვარს სამოყვარულო რადიოსადგურის ყოველი კატეგორიისთვის.

2. საკვალიფიკაციო ტესტირების კითხვარი უნდა შეიცავდეს შემდეგ საკითხებს: სამოყვარულო რადიოსადგურის გამოყენების წესი, უსაფრთხოების ტექნიკა, ეთერში მუშაობის წესი, ელექტროობა და რადიოტექნიკა.

3. საკვალიფიკაციო საბჭო საკვალიფიკაციო ტესტირებას ატარებს ერთ ეტაპად - წერითი გამოცდის სახით.

4. საკვალიფიკაციო ტესტირებაში მონაწილეობის უფლება აქვს ყველა მსურველ პირს, რომელიც წერილობით მიმართავს კომისიას ტესტირების ჩაბარების მოთხოვნით.

5. საკვალიფიკაციო ტესტირების კითხვარის ყოველი სწორი პასუხი ფასდება 1 ქულით, ხოლო არასწორი პასუხი 0 ქულით.

6. საკვალიფიკაციო ტესტირება ჩაბარებულად ითვლება თუ მონაწილე პირი სწორ პასუხს გასცემს კითხვარის 80%-ს.

7. საკვალიფიკაციო საბჭო ტესტირების შედეგად რადიომოყვარულისთვის კვალიფიკაციის - სამოყვარულო რადიოსადგურის კატეგორიის განსაზღვრის თაობაზე გასცემს ცნობას, რომელსაც ხელს აწერს საკვალიფიკაციო საბჭოს თავმჯდომარე.

8. საკვალიფიკაციო საბჭოს თავმჯდომარე მისანიჭებელი სამოყვარულო რადიოსადგურის კატეგორიის თაობაზე ინფორმაციას აწვდის კომისიის აპარატის იურიდიული დეპარტამენტის ლიცენზირებისა და ავტორიზაციის ჯგუფს.

9. რადიოელექტრონული საშუალებებისა და მაღალსიხშირული მოწყობილობების გამოყენებისთვის სახმობის მინიჭების შესახებ კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, კომისიის აპარატის იურიდიული დეპარტამენტის ლიცენზირებისა და ავტორიზაციის ჯგუფი ამზადებს რადიომოყვარულის მოწმობას, რომელსაც ხელს აწერს ამ ჯგუფის უფროსი.

მუხლი 5. გარდამავალი დებულებები

1. „სამოყვარულო რადიოკავშირის გამოყენების წესის“ 2023 წლის პირველ ნოემბრამდე მოქმედი რედაქციის შესაბამისად კომისიის მიერ მინიჭებული სამოყვარულო რადიოსადგურის C კატეგორიის სახმობის მფლობელ რადიომოყვარულებს, მიენიჭოთ სამოყვარულო რადიოსადგურის B კატეგორია და შესაბამისი სახმობი ნიშანი, ტესტირების გარეშე, ასეთი მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში;

2. „სამოყვარულო რადიოკავშირის გამოყენების წესის“ 2023 წლის პირველ ნოემბრამდე მოქმედი რედაქცით განსაზღვრულ ვეტერან რადიომოყვარულს, რომლისთვისაც კომისიას მინიჭებული აქვს 4 სიმბოლოიანი სახმობი ნიშანი, მიენიჭოს „E“ ექსტრა კატეგორია და შესაბამისი სახმობი, ტესტირების გარეშე, ასეთი მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში.

3. „სამოყვარულო რადიოსადგურის გამოყენების წესის“ ძალაში შესვლამდე, სამოყვარულო რადიოსადგურის სახმობი ნიშნის ფლობის თაობაზე, შესაბამისი ორგანოს მიერ გაცემული დოკუმენტის წარმოდგენის შემთხვევაში, პირს მიენიჭოს წარმოდგენილ დოკუმენტში მითითებული სახმობი ნიშანი და შესაბამისი კატეგორია, ტესტირების გარეშე. ამ პუნქტში მითითებული ორგანოს შესაბამისობას ადგენს საკვალიფიკაციო საბჭო.